

საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის მე-4 კორპუსში  
განლაგებული №18 ელექტრომექანიკის  
ლაბორატორიის ენერგოაუდიტის  
ანგარიში

30.11.2009



მომზადებულია მდგრადი განვითარების და პოლიტიკის ცენტრის მიერ ვინროკ  
ინტერნეშენალისთვის

## სარჩევი

1	რეზიუმე.....	3
2	შესავალი.....	5
2.1	პროექტის წინაპირობები .....	5
2.2	პროექტის რეალიზაციის პროცესი .....	6
3	პროექტის ორგანიზაცია.....	7
4	სტანდარტები და წესები.....	8
5	შენობის მდგომარეობის აღწერა .....	8
5.1	ზოგადი მდგომარეობა .....	8
5.2	შენობის მონაცემები.....	9
5.3	გათბობის სისტემა.....	12
5.4	განათების სისტემა .....	13
5.5	სხვადასხვა .....	13
5.6	შენობის გარე მოწყობილობები.....	14
6	ენერგიის მოხმარება.....	14
6.1	გაზომილი ენერგიის მოხმარება.....	14
6.2	ენერგიის გამოთვლილი და საბაზო მოხმარება .....	15
6.3	ენერგო ბიუჯეტი.....	16
7	ენერგოეფექტურობის პოტენციალი.....	18
8	ენერგოეფექტური დონისძიებები .....	19
8.1	დონისძიებების ჩამონათვალი .....	19
8.2	დონისძიებები .....	19
9	ეკოლოგიური სარგებელი .....	22
	დანართი.....	24

ენერგოაუდიტის გუნდი მადლობას უხდის ENSI -“Energy Saving International AS”-ს ენერგოფექტურობისა და ენერგო ბიზნესის განვითარების საკონსულტაციო კომპანიას ნორვეგიიდან, რომელიც საქმიანობდა საქართველოში 2005 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ენერგოაუდიტის სფეროში მომზადებისა და სერტიფიკაციის პროგრამის ფარგლებში.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა დადაგუხადოთ ბატონ ლუბომირ ჩერვილოვს – ENSI-ის პროექტის მთავარ მენეჯერს, რომელიც პასუხს აგებდა საქართველოში საკვანძო რიცხვებისა (Key Number Software) და ეპონომიკური ანგარიშების (Profitability Software) კომპიუტერული პროგრამების ტრეინინგის ჩატარებაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-4 კორპუსის ენერგოაუდიტი ჩატარდა ორივე ამ პროგრამის გამოყენებით, რომელიც ლიცენზირებულია ENSI-ის მიერ დოქტორ კარინა მელიქიძეზე. ენერგოაუდიტის ანგარიშის ტრაფარეტი აგრეთვე თან ერთვის ხელნებულ ლიცენზიას.

## 1 რეზიუმე

საბაზო ენერგია, რომელიც საჭიროა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-4 კორპუსში განლაგებული ელექტრომექანიკის №18 ლაბორატორიის ფუნქციონირების ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად შეადგენს დაახლოებით 57850 კვსთ/წ ადგილობრივი გათბობის ხისტემისათვის და 4678 კვსთ/წ ელექტროენერგიისათვის, ანუ მთლიანობაში 62527 კვსთ/წ.

ენერგოაუდიტის შედეგად გამოვლინდა ენერგოფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვანი პოტენციალი ამ შენობისათვის:

მოწოდებული ენერგიის დანაზოგი	<b>6429</b>	კვსთ/წ
წმინდა დანაზოგი	<b>7614</b>	ლარი/წ
დაბანდება	<b>22416</b>	ლარი
ამოგების პერიოდი	<b>2,9</b>	წელი

ენერგიის დაზოგვის პოტენციალი ენერგოფექტური და რეკონსტრუქციის ღონისძიებების დასადგენად შეჯამებულია ქვემოდ მოყვანილ ცხრილში მათი მომგებიანობის შესაბამისად (NPVQ).<sup>1</sup>

ენერგოფექტურობის პოტენციალი-ენერგოაუდიტი		
სტუ მე-4 კორპუსში განლაგებული ელექტრომექანიკის №18 ლაბორატორია	გასათბობი გართობი	<b>441 მ<sup>2</sup></b>

<sup>1</sup> **NPVQ** წარმოადგენს NPV-ს შეფარდებულს ინვესტიციასთან: **NPVQ= NPV/ I**, სადაც **NPV** არის სამომავლო წმინდა წლიური დანაზოგის დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულება მინუს ინვესტიცია. **I** არის ინვესტიცია.

ენერგოეფექტური დონისძიებები		ინვესტიცია [ლარი]	წმინდა დანაზოგი [კვსო/წ]	წმინდა დანაზოგი [ლარი/წ]	ამოგების პერიოდი [წელი]	NPVQ დირექტულების კოეფიციენტი *
1.	თანამედროვე გათბობის სისტემის მოწყობის	21408	6073	7481	2,9	2,13
2.	განათების სისტემის განახლება	1.008	353	133	7,6	0,18
<b>მომგებიანი ენერგოეფექტური დონისძიებები</b>						
1.	თანამედროვე გათბობის სისტემის მოწყობის	21408	6073	7481	2,9	2,13
2.	განათების სისტემის განახლება	1.008	353	133	7,6	0,18
<b>მთლიანად მომგებიანი ენერგოეფექტური დონისძიებები</b>		<b>22416</b>	<b>6429</b>	<b>7614</b>	<b>2,9</b>	

\* ეფუძნება 7.3% რეალურ საპროცენტო განაკვეთს

იმისათვის, რომ ინვესტიცია და დანაზოგი ქმედით ხასიათს ატარებდეს, ყველა დონისძიება ერთი პროექტის ფარგლებში უნდა იყოს განხორციელებული. ამოგების პერიოდი ის დროა, რომლის განმავლობაში ხდება ინვესტიციების დაფარვა, რომელიც ეფუძნება თანაბარ წმინდა დანაზოგს. მონაცემთა სიზუსტე  $\pm 10-15\%$ -ა.

ქვემოდ მოყვანილია მომგებიანი დონისძიებების გატარების შედეგად მიღებული დანაზოგი დაყოფილი ენერგიის სახეების მიხედვით.

ენერგიის სახეები	ერთეული	არსებული (საბაზო)	დონისძიებების შემდეგ	დანაზოგი
ელექტროენერგია	კვსო/წ	1961	1608	353
ადგილობრივი	კვსო/წ	57850	51777	6073
გათბობა				
ადგილობრივი	მ³/წ	5600	5012	588
გათბობისათვის საჭირო				
ბუნებრივი აირი				

დღესდღეობით სტუ მე-4 კორპუსში განლაგებული ელექტრომექანიკის №18 ლაბორატორიას არ გააჩნია თანამედროვე გათბობის სისტემა ბუნებრივი აირის სათბობით, მაგრამ მოსალოდნელია აირის გამოყენება გათბობის მიზნებისათვის მომავალი. ზემოდ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ბუნებრივი აირის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ამ ლაბორატორიის გათბობისათვის მისი არსებული (საბაზო) და ენერგიის დაზოგვის დონისძიებების გატარების შემდეგ მიღებული მდგომარეობის შესაბამისად.

$\text{CO}_2$ -ს ემისიის შემცირება, რომლის მიღწევა შესაძლებელია ენერგოაუდიტის მიერ გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შედეგად შეფასებულია როგორც  $-1,32$  ტონა/ტ.

## 2 შესავალი

### 2.1 პროექტის წინაპირობები

სამუშაო ხორციელდება მდგრადი დანვითარებისა და პოლიტიკის (SDAP) ცენტრის მიერ “ნათელი” პროექტის ფარგლებში ვინოვკ ინტერნეშენალის უშუალო ხელმძღვანელობით. ის გულისხმობს ენერგოაუდიტის ჩატარებას სტუ მე-4 კორპუსის წინასწარ შერჩეულ ნაწილში. ადგილზე დაკვირვებისა და სტუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კონსულტაციის შედეგად ასეთად შეირჩა კორპუსის ნაწილი, რომელშიც ელექტრომექანიკის №18 ლაბორატორიაა განლაგებული. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ენერგოაუდიტის გუნდმა, იქიდან გამომდინარე, რომ ლაბორატორიას უკავია შენობის იზოლირებული ნაწილი, რაც ფრიად ხელსაყრელია ენერგოაუდიტის ჩატარების თვალსაზრისით. ენერგოაუდიტის შედეგები მოყვანილია ანგარიშში.

სტუ მე-4 კორპუსი აშენებულია დაახლოებით 1950-იან წლებში და ხასიათდება შენობის გადამდობი კონსტუქციების (კედლების) საშუალო თბური მდგრადობით (ინერციით). ამასწინად შენობა ნაწილობრივ შეკეთდა. 2009 წლის ზაფხულში აქ დამონტაჟდა მეტალოპლასმასის ფანჯრები ორმაგი შემინვით.

სამწუხაროდ შენობაში არ არსებოს თანამედროვე ცენტრალური გათბობის სისტემა. დღესდღეობით ზამთარში სითბოს დანაკარგების დაფარვა ხდება ელექტრო გასათბობი ხელსაწყოების საშუალებით. ლაბორატორიის თანამშრომლები ათბობენ მხოლოდ რამდენიმე ოთახს ელექტრორადიატორების საშუალებით, რის შედეგად ამ ოთახებშიც კი იქმნება არაკომფორტული პირობები, რადგან ეს რადიატორები ვერ ფარავენ ენერგიის მოხმარების მინიმუმსაც კი – თბოდანაკარგებს შენობის გარე კედლებიდან. ეს უქმნის არასასიამოვნო-არაკომპორტულ პირობებს როგორც ლაბორატორიის თანამშრომლებს, ასევე სტუდენტებს.

ელგაუვანილობა ცუდ მდგომარეობაშია, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გათბობის მიზნით ელექტრორადიატორების გამოყენებითაა გამოწვეული. ამას მოსდევს შიდა ელექტრომომარაგების სისტემის გადატვირთვა, რომელიც ასეთ დატვირთვაზე არ იყო გათვლილი და სადენების დაზიანება.

მე-4 კორპუსში ენერგოაუდიტის ჩატარების გადაწყვეტილება იყო მიღებული უმაღლეს განათლებაში ენერგოეფექტურობის დახმარების ჩარჩო პროგრამის ფარგლებში, იმის გათვალისწინებით, რომ შენობა უკვე ნაწილობრივ იყო შეკეთებული და მასში ენერგოეფექტური ფანჯრები დამონტაჟდა. იმის გამო, რომ თბოტექნიკური თვალსაზრისით შენობა ხასიათდება გადამდობი კონსტუქციების (კედლების) საშუალო თბური მდგრადობით, შენობის ამ ნაწილში ენერგიის მოხმარების წინასწარი შეფასება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე გათბობის სისტემის დაყენების საშუალებით შესაძლებელია მის იზოლირებულ ნაწილში ენერგოეფექტურობის მისაღები დონის მიღწევა. შესაბამისად ენერგოაუდიტის მიზანია შეაფასოს ენერგიის დაზოგვის (ENCON) პოტენციალი და შეიმუშავოს ეკონომიკური დანაზოგის დონისძიებები სტუ მე-4 კორპუსის ელექტრომექანიკის №18 ლაბორატორიისათვის.

ამ ღონისძიებების შეფასების შედეგები მოცემულია ამ ანგარიშში.

პროექტის მიზანია ენერგიაზე გაწეული დანახარჯების შემცირება დღესდღეობით აუცილებელთან შედარებით, შენობის შიდა გარემოს

გაუმჯობესება, შენობისა და ტექნიკური ხელსაწყოების მართვისა და ექსპლუატაციის ეფექტურობის ამაღლება.

## 2.2 პროექტის რეალიზაციის პროცესი

პროექტის რეალიზაცია მოიცავს შენობაში “მომგებიანი ენერგოეფექტური ღონისძიებების” (ეგ) შეფასებასა და გატარებას. ყოველი შენობა უნიკალურია და შესაბამისად ყოველი პროექტი უნდა იყოს განსხვავებული ენერგიის დაზოგვის შესაძლებლობების გამოსავლენად. შენობის მეპარონეებს შეიძლება გააჩნდეთ რეკონსტრუქციის განსხვავებული ხედვა და მოთხოვნები ეს ღონისძიებების მომგებიანობის მიმართ.

შესაბამისად პროექტის რეალიზაციის პროცესი იყოფა ექვს მთავარ ღონისძიებად, რომელიც წარმოდგენილია ქვემოდ მოყვანილ დიაგრამაზე.

1. პროექტის იდენტიფიკაცია


2. სკანირება

3. ენერგო აუდიტი

4. ბიზნეს გეგმა

5. დანერგვა

6. ექსპლუატაცია



### **3 პროექტის ორგანიზაცია**

**პროექტის/შენობის/ადგილის  
დასახელება** სტუ მე-4 კორპუსში განლაგებული  
ელექტრომექანიკის №18 ლაბორატორია

---

საკონტაქტო პირი: გიორგი არაბიძე  
მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 77  
ტელეფონი: 899 752458  
ფაქსი:  
როლი პროექტში: ბენეფიციანტი. ელექტრომექანიკის №18  
ლაბორატორიის ენერგომოხმარების შეფასების  
შედეგები მიეწოდება ენერგოაუდიტის  
მოხსენების სახით.

**შენობის მეპატრონე:** საქართველოს ეკონომიკური განვითარების  
სამინისტრო

---

საკონტაქტო პირი: კარინა მელიქიძე  
მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №34, მე-3  
ნაგვეთი, 104-ე ოფისი  
ტელეფონი: (99532) 20 67 73  
ფაქსი: (99532) 42 0060  
როლი პროექტში: SDAP ცენტრის დირექტორი

---

ექსპერტი: კარინა მელიქიძე  
ტელეფონი: 893 14 62 54  
როლი პროექტში: პასუხისმგებელი ენერგოაუდიტის ჩატარებაზე  
საკვანძო რიცხვების ელექტრონული პროგრამის  
გამოყენებით და ანგარიშის დაწერაზე

---

კონსულტანტი: თ. ჯიშკარიანი, სტუ პროფესორი  
ტელეფონი: 893 79 00 84  
როლი პროექტში: ენერგოაუდიტის გუნდის წევრი

---

კონსულტანტი: ნ. ქევიშვილი, სტუ პროფესორი  
ტელეფონი: 897120 332  
როლი პროექტში: ენერგოაუდიტის გუნდის წევრი

---

## 4 სტანდარტები და წესები

შემდეგი სტანდარტები და წესები მნიშვნელოვანია შესაბამისი ენერგოეფექტური და რეკონსტრუქციის ღონისძიებებისათვის:

- გათბობა, ვენტილაცია და კონდინიცირება **SNIP 2.04.05-86**
- საქვაბე დანადგარი
- წყალმომარაგება
- სამშენებლო თბოტექნიკა **SNIP II-3-79\***

ამ სტანდარტებსა და წესებიდან გამომდინარეობს შემდეგი მოთხოვნები:

- გათბობა, ვენტილაცია და კონდინიცირება **SNIP 2.04.05-86**
- საქვაბე დანადგარი
- წყალმომარაგება
- სამშენებლო თბოტექნიკა **SNIP II-3-79\***

## 5 შენობის მდგომარეობის აღწერა

### 5.1 ზოგადი მდგომარეობა

შენობის ტიპი		სტუ მე-4 კორპუსში განლაგებული ელექტრომექანიკის №18 ლაბორატორია						
აშენების თარიღი		1950-იანი წლები	სისტემატიურად ექსპლუატაციაშია (წელი)				1950-იანი	
		სამუშაო დღეები	შაბათი		კვირა			
ექსპლუატაციის გრაფიკი		8	6		0		(სო/დღე)	
გათბობის გრაფიკი		10	8				(სო/დღე)	
1 ცვლა	9-დან	18	სო-მდე	მე-2 ცვლა	-	-	სო-მდე	
მე-3 ცვლა	-	-	სო-მდე	მე-4 ცვლა	-	-	სო-მდე	
გამოსასვლელი დღეები (მიუთითეთ თუ არსებობს დამატებითი გამსასვლელი დღეები, გარდა ჩვეულებრივის)								
შენობაში მყოფ ადამიანთა რაოდენობა (საავადმყოფოების, სკოლებისათვის და ა.შ. მიუთითეთ ავადმყოფების, მოსწავლეების და ა.შ. რაოდენობა)								
მუდმივი მობინადრე/თანამშრომელი		30	ადამიანი					
დროებითი მობინადრე/თანამშრომელი		70	ადამიანი					

შენობის შიდა საშუალო ტემპერატურა					
მდგომარეობა			ნორმატივი		
ტემპერატურა მომუშავე გათბობის სისტემის პირობებში	14	°C	ტემპერატურა მომუშავე გათბობის სისტემის პირობებში	19	°C
ტემპერატურა გამორთული გათბობის სისტემის პირობებში	7	°C	ტემპერატურა გამორთული გათბობის სისტემის პირობებში	16	°C
დაყენებული მრიცხველები და მათი მდებარეობა					
ენერგო აუდიტორებს არ ჰქონდათ ელექტროენერგიის მრიცხველის ნახვის შესაძლებლობა. ის ცალკეა განლაგებული და მხოლოდ უფლებამოსილ პირებს გააჩნიათ მათი შემოწმების უფლები.					
ექსპლუატაციისა და სერვისის არსებული ხელშეკრულებები	ექსპლუატაციისა და სერვისის ინსტრუქციები				
-	-				

იმ დროს როდესაც შენობაში მუშაობა მიმდინარეობს, მასში საშუალოდ ერთდოროულად 30 ადამიანი იმყოფება. შენობის გათბობა ხდება ელექტრონელსაწყოების საშუალებით. ლაბორატორიის ყველა სათავსო არ თბება, მხოლოდ მათი ნაწილი.

## 5.2 შენობის მონაცემები

საერთო ფართი	1674	მ²	კონდიცირებული ფართი	1674	მ²
საერთო მოცულობა	1851	მ³	კონდიცირებული მოცულობა	1851	მ³
იატაკის ფართი	441	მ²	სართულების რ-ბა	1	

გადამდობი კონსტრუქციები (კედლები)					
კედლების ფართი, მ²	მდგომარეობის ზოგადი შეფასება	ზოგადი მდგომარეობა	საშუალო მდგრადობა (ინერცია)	თბური	მდგრადობა
გადამდობი საერთო ფართი	კედლების ზოგადი მდგომარეობა	332	მ²	თბოგადაცემის კოეფიციენტი U(საშუალო)	1,22
ორიენტაცია	მ²	მ-ა	ა	ს-ა	ს-დ
კედლის ფართი, მ²	142,8		61,7		61,7
მასალის ტიპი	მ1აგური		მ1აგური	მ1აგური	მ1აგური
იზოლაციის	-				

ტიპი								
სობოგადაცემის კოეფიციენტი, $\lambda/\text{მ}^2\text{K}$	1,22		1,22		1,22		1,22	
მასალა ტიპი m1	თბოგამტარობა აგურისათვის აღებულია $\lambda=0,76 \text{ გ/მ}\cdot\text{K}$ თუ მათი სისქე შეადგენს $\delta=0,46\text{მ}$ , სადაც მთლიანი სისქე გაზომილია როგორც $\delta=0,50 \text{ მ}$ , ხოლო $\delta=0,02 \text{ მ}$ შეადგენს შიდა და გარე ბათქაშის ფენების სისქეს. საჭირო თერმული წინაღობა გამოითვლება როგორც: $R_{req} = 1/8,7 + 0,02/0,81 + 0,46/0,76 + 0,02/0,64 + 1/23 = 0,818 \text{ m}^2\text{K/W}$ თბოგადაცემის კოეფიციენტი დაახლოებით შეადგენს: $U=1/0,818=1,22 \text{ W/m}^2\text{K}$							
იზოლაცია ტიპი 1	-							

გადამღობი კონსტრუქციები (კედლები) ნაშენია  $\delta=0,46\text{მ}$  სისქის აგურით. გამოთვლებით დადგინდა, რომ შენობის გარსი ხასიათდება საშუალო თბური მდგრადობით (ინერციით), რაც ტიპურია იმ ხანის (1950-იანი წლების) სამშენებლო პრაქტიკისათვის. ენერგოუდიტის გუნდმა მიიღო ელექტრომექანიკის №18 ლაბორატორიის მიერ დაკავებული შენობის ნაწილის გეგმა. თბოგადაცემის კოეფიციენტის ( $U$ ) გამოთვლა მოხდა ადგილზე შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით და მიღებულია როგორც  $U_{გედელი}=1,22 \text{ გ/მ}^2\text{K}$ .

ფანჯრები								
ფანჯრების შეფასება	მდგომარეობის შეფასება	ზოგადი	მეტალოპლასტმასის ორმაგი შემინვა	ჩარჩო,				
ფანჯრების საერთო ფართი		72,0	$\mathcal{P}$	თბოგადაცემის კოეფიციენტი $U(\text{საშუალო})$	2,5	$\lambda/\mathcal{P}$		
ორიენტაცია	მასალა <sup>1</sup>	$\text{ტიპი}^2$	ზომა $A \times B$	ფართი $\mathcal{A}$	რ-ბა $\mathcal{P}$	შეის ენერგიის წილი $\mathfrak{g}$	გრძივ ი მეტრ ი $\mathcal{P}$	თბოგად ცემის კოეფიციენტი $U$ $\lambda/\mathcal{P}$
ჩ	P	2G	2,4x1,80	4,32	9	0,60	75,6	2,5
ა	P	2G	2,4x1,40	3,40	1	0,60	7,6	2,5
ს	P	2G	2,4x1,80	4,32	7	0,60	58,8	2,5
ღ	-	-	-	-	-	-	-	-
სულ				72,0	17		1884	
მასალა <sup>1</sup>				ხე (W), ალუმინი (Al), პლასტმასა (P), ფოლადი (St)				
$\text{ტიპი}^2$				ერთმაგი ჩარჩო (S), ორმაგი ჩარჩო (D), დაპრესილი მასალის ჩარჩო (B), ერთმაგი შემინვა (1G), ორმაგი შემინვა (2G),				

ფანჯრების შეცვლა მოხდა 2009 წლის ზაფხულში. მინაპაკეტი არ არის შევსებული ინერტული გაზით. თბოგადაცემის კოეფიციენტის მნიშვნელობის დადგენა ვერ მოხერხდა სეტრიფიკატის საფუძველზე, ამიტომ ის იყო აღებული ადგილის დათვალიერების შედეგად გასაშუალოებული იმ ფანჯრებისათვის, რომელიც იყიდება საქართველოს ბაზარზე.

გარები							
კარების მდგომარეობის ზოგადი შეფასება							ხის
კარების ტიპი							ერთმაგი
კარების რ-ბა	1	კარების საერთო ფართი	4,5	$\vartheta^2$	თბოგადაცემის კოეფიციენტი უ(საშუალო)	4,65	$\vartheta/\vartheta_0$

№18 ლაბორატორიის შესასვლელი კარი ხისაა. ეს შესასვლელი აკავშირებს ლაბორატორიას მე-4 კორპუსის პირველი სართულის ხოლოთან, ისე რომ მას არა აქვს უშუალო შეხება ცივ ქანის ჰაერთან.

სახურავი							
სახურავის მდგომარეობის ზოგადი შეფასება				ლაბორატორიის თავზე მდებარეობს სათავსო გათბობის გარეშე			
სახურავის საერთო ფართი		441		$\vartheta^2$	თბოგადაცემის კოეფიციენტი უ(საშუალო)	0,80	$\vartheta/\vartheta_0$
სახურავის ტიპი	მასალის ტიპი	იზოლაციის ტიპი	იზოლაც. ხისქე გ	ფილის ხისქე გ	საშ. ტემპ. °C	ფართი ზ	უ გზ/ზ
-	m1	-	-	0,185		441	0,80
სულ							
მასალა ტიპი m1							
იზოლაცია ტიპი i1		-					

№18 ლაბორატორიას უკავია შენობის პირველი სართულის ნაწილი. სივრცე მის თავზე უკავია სართულს, რომელიც არ თბება, ასე რომ თბოდანაკარგებს ადგილი აქვს გადახურვის ფილიდან იმ შემთხვევაში, თუ ტემპერატურის სხვაობა ამ ფილის ორივე ზედაპირს შორის  $5^{\circ}\text{C}$  აღემატება. რეალურად ზამთრის პერიოდში ეს თითქმის ყოველთვის იწვევს თბოდანაკარგებს ჭერიდან, თუმცა ეს უკანასკნელი შენობის სახურავს არ წარმოადგენს. თბოგადაცემის კოეფიციენტი ასეთ შემთხვევაში, როდესაც ფილის გარე ზედაპირი არ შედის უშუალო კონტაქტში ცივ ქანის ჰაერთან, შენობის შემზღვდავი კონსტრუქციების მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლებელია შეფასდეს როგორც  $U= 0,80 \text{ } \vartheta/\vartheta_0$ .

იატაკი									
იატაკის შეფასება		მდგომარეობის ზოგადი		ლაბორატორიის ქვეშ განლაგებულია რესტორანი					
იატაკის ფართი:		საერთო 441		მდგომარეობის კოეფიციენტი ს(საშუალო)		0,20	30/მ <sup>2</sup>		
იატაკის ტიპი		-							
იატაკის მასალა		-							

იატაკიდან თბოდანაკარგებს ფაქტიურად ადგილი არა აქვს. ლაბორატორიის ქვეშ განლაგებულია რესტორანი, რომელსაც გათბობის სისტემა გააჩნია, ასე რომ კომპიუტერულ პროგრამაში შევიყვანეთ თეორიულად შეფასებული თბოგადაცემის კოეფიციენტი  $U = 0,20$  კტ/მ<sup>2</sup> იმ მიზნით, რომ შეგვეძლო გამოგვეთვალა თბოდანაკარგები არასტაციონარული გადაცემის შემთხვევისათვის.

### 5.3 გათბობის სისტემა

გენერაციის, მიწოდების, გადამცემის ტიპი	ელექტროენერგია					
გამანაწილებელი სისტემის ტიპი	-					
გათბობის სისტემის მდგომარეობა	-					
ქვაბი/ექსპლუატაციაშია (წელი)	არ არის	გათბობის სისტემა	სისტემა	ექსპლუატაციაშია (წელი)	-----	
გათბობის სისტემის სიმძლავრე		კვტ	საწვავის ტიპი			
მიღების მასალა და მდგომარეობა	-					
იზოლაციის მასალა და მდგომარეობა	-					
სითბოს გამომსხივარის ტიპი/რაოდენობა	-					
ავტომატური მართვის სისტემა	-					
ინდივიდუალური გამათბობელი მოწყობილობები, ტიპი	ელექტრორადიატორი					
რ-ბა	1-7	ცალი	სიმძლავრე	1.3-1.2	კვტ	
რ-ბა	1-4	ცალი	სიმძლავრე	0.6-	კვტ	

საწუხაროდ №18 ლაბორატორიის მიერ დაკავებულ ფართობზე არ არსებობს თანამედროვე გათბობის სისტემა. ის თბება ელექტრორადიატორებით, რომელიც დადგმულია მხოლოდ რამდენიმე ოთახში. შესაბამისად ოთახის შიდა ტემპერატურა ზამთარში კომფორტულზე დაბალია. ეს მიგვანიშნებს არსებული სიტუაციის გაუმჯობესების დიდ პოტენციალზე ენერგოუდიტის შედეგად აქ ორმილიანი წყლის თანამედროვე გათბობის სისტემის დაყენების შეთავაზებით.

#### 5.4 განათების სისტემა

სანათი	რ-ბა ცალი	დადგმული სიმძლავრე კვტ	საშუალო დატვირთვა კტ/ზ	კონტროლის ტიპი/შენიშვნა
ფლუორესენტური	86	2,6	4,88	
სულ				

განათება		
საშუალო მოთხოვნა	4,88	კტ/ზ
მუშაობის პერიოდი	20	სო/კვირა
მუშაობის პერიოდი	38	კვირა/წელი
მაქს. ერთდროული დატვირთვა	5,89	კტ/ზ

შენობის ეს ნაწილი აღჭურვილია დია მეტალის ჩარჩოში დაყენებული ფლუორესენტური სანათებით. ადგილზე ინსპექციით დადგინდა, რომ შენობის ამ კომპონენტს გააჩნია გაუმჯობესების დიდი პოტენციალი, რადგანაც ელგაყვანილობა თითქმის უვარგისია, ელექტროლუმელების გამოყენებით გამოწვეული გადატვირთვებით. აგრეთვე შესაძლებელია განათების სისტემის გაუმჯობესებაზე მიმართული ისეთი დამატებითი ლონისმიებების შემოთავაზება, როგორიცაა ზოგიერთი მწყობრიდან გამოსული ნაწილების შეცვლა, მაგალითად სტარტერების, დროსელების; ან სანათების მეტალის ჩარჩოების გაწმენდა.

#### 5.5 სხვადასხვა

ლაბორატორიაში დაყენებულია 5 კომპიუტერი.

სხვადასხვა გამოყენებული მოწყობილობები	რ-ბა ცალი	დადგმული სიმძლავრე კვტ	საშუალო დატვირთვა კტ/ზ	შენიშვნა
კომპიუტერი	5	0,2		
სულ		1.0	2,26	

სხვა გამოყენებული მოწყობილობები		
საშუალო მოთხოვნა	2,26	გვ/ზ
მუშაობის პერიოდი	25	სთ/კვირა
მუშაობის პერიოდი	38	კვირა/წელი
მაქს. ერთდღოული დატვირთვა	4,0	გვ/ზ

ქვემოდ ჩამოთვლილი დანადგარები არ გამოიყენება.

სხვადასხვა გამოუყენებელი	რ-ბა ცალი	დადგმული სიმძლავრე კვბ	საშუალო დატვირთვა გვ/ზ	Comments
მოწყობილობა	1	5.0	0,5	
სულ				

სხვადასხვა გამოუყენებელი		
საშუალო მოთხოვნა	0,5	გვ/ზ
მუშაობის პერიოდი	25	სთ/კვირა
მუშაობის პერიოდი	38	კვირა/წელი
მაქს. ერთდღოული დატვირთვა	0,5	გვ/ზ

## 5.6 შენობის გარე მოწყობილობები

შენობას არ ფააჩნია გარე დანადგარები, განათების ჩათვლით. ამ კომპონენტის შესაბამი დონისმიერებები არ არის გათვალისწინებული.

## 6 ენერგიის მოხმარება

### 6.1 გაზომილი ენერგიის მოხმარება

ცხრილში მოყვანილია გაზომილი ენერგიის მოხმარების მონაცემები და მასზე გაწეული ხარჯები ენერგოაუდიტამდე გასული წლის განმავლობაში. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა არ გადასცეს ენერგოაუდიტის გუნდს ხსენებული ლაბორატორიის მიერ მოხმარებული ენერგიის საფასურის მონაცემები (ქვითრები), რადგანაც ის ცალკე არ იზომება და გარდა ამისა სტუ-ს გააჩნია ერთი ელექტრომრიცხველი რამდენიმე კორპუსისათვის, რომელიც განლაგებულია ისეთ ადგილას, სადაც ის მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის თანამშრომლებისათვის არის ხელმისაწვდომი.

2008 წელი	ცენტრა ლური გათბობა	ელექტრ ოენერგი ა	<გაზი> <თხევადი საწვავი>	სხვა	სულ
ენერგიის ფასი		1855			1855 ლარი
ენერგო მოხმარება		10479			10479 კვტსთ /წ
კუთრი მოხმარება		23,8			23,8 კვტსთ /გ <sup>2</sup>
წყლის მოხმარება	ელექტროენერგიისა თვის-15.05.2006-დან				

\*) ენერგია, ფიქსირებული გადასახადები და ა.შ.

ენერგოაუდიტის გუნდი მივიღა იმ დასკვნამდე, რომ თითქმის შეუძლებელი იქნებოდა №18 ლაბორატორიის მიერ მოხმარებული ენერგიის გაზომვა, იქიდან გამომდინარე, რომ მას უკავია მე-4 კორპუსის ნაწილი და მის მიერ მოხმარებული ენერგიის განცალკევება კორპუსის დანარჩენი ნაწილის მიერ მოხმარებული ენერგიიდან გამნელდება. გარდა ამისა, ენერგოაუდიტის გუნდმა მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ სტუ რამდენიმე კორპუსი ერთ ელექტრომრიცხველზეა მიერთებული.

ენერგოაუდიტის გუნდმა გაანალიზა ელექტროენერგიის მოხმარება გათბობისა და განათების თვალსაზრისით, იმასთან დაკავშირებით, რომ დღესდღეობით ამ შენობაში ელექტროენერგია ორივე დანიშნულებით გამოიყენება. ელექტროენერგიის მოხმარების მონაცემების არარსებობის პირობებში ენერგოაუდიტის გუნდს მოუხდა ელექტროენერგიის მოხმარების ანალიზი ლაბორატორიის თანამშრომლების გამოკითხვის გზით გათბობის თავისებურებების თაობაზე – ერთდროულად ჩართული ელექტრორადიატორების სიმძლავრეზე, მათი მუშაობის ხანგრძლივობაზე (საათებზე) ზამთრის პერიოდში. აგრეთვე გუნდის წევრებმა შეამოწმეს ლაბორატორიაში არსებული დანადგარების სიმძლავრე და საშუალო მუშაობის საათები.

თბოუნარიანობა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

ენერგიის მატარებელი	თბოუნარიანობა	ერთეული	შენიშვნა
ბუნებრივი აირი (გაზი)	37190	კვ/მ <sup>3</sup>	ანუ 10 330kWh/1000N <sup>3</sup> , ტოლია 8884 კკალ/1000N <sup>3</sup>

ელექტროენერგიის ტარიფი 0,17697 ლარი/კვსთ  
ბუნებრივი აირის ტარიფი 0,51 ლარი/ N<sup>3</sup>

ზემოდ მოყვანილი თბოუნარიანობა და ტარიფები გამოიყენება შემდგომი გამოთვლებისაზე.

## 6.2 ენერგიის გამოთვლილი და საბაზო მოხმარება

№18 ლაბორატორიის მიერ ენერგიის საბაზო მოხმარება განისაზღვრა როგორც დახსრულებით 57850 კვსთ/წ ადგილობრივი გათბობის ხისტენისათვის ქვაბით და 1961 კვსთ/წ განათებისათვის. ჯამში წელიწადში საჭიროა 62527

კვსთ/მ<sup>2</sup> შენობაში ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმნელად, თუ საწვავად ბუნებრივი აირი გამოიყენება.

შენობის გარსი ხასიათდება საშუალო თბური მდგრადობით (ინერციით). ადგილზე დათვალიერებით და ლაბორატორიის თანამშრომლების გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა თბოგადაცემის კოეფიციენტი ს სახურავის, კედლებისა და იატაკისათვის და შეფასდა ენერგიის (ელექტროენერგიის) მოხმარების მოცულობა, იქიდან გამომდინარე, რომ დენის ქვითონები აქ არ არსებობს.

### 6.3 ენერგო ბიუჯეტი

გამოთვლილი და გაზომილი ენერგიის მოხმარება ენერგოეფექტური ღონისძიებებისა და რეკონსტრუქციის ჩატარებამდე და ჩატარების შემდეგ დაჯამებულია ქვემოდ მოყვანილ ენერგო ბიუჯეტში.

ენერგო ბიუჯეტი – ენერგო აუდიტი				
ბიუჯეტის კომპონენტები	ეე ლონისძიებებ მდე გამოთვლილ ი [კვტსთ/მ <sup>2</sup> წელი]	ეე ლონისძიებებმდე გაზომილი [კვტსთ/მ <sup>2</sup> წელი]	ეე ლონისძიებებმდე საბაზო [კვტსთ/მ <sup>2</sup> წელი]	ეე და რეკონსტრუქციი ს შემდეგ
გათბობა	14,2	14,2	131,2	117,4
კენტილაცია	0	0	0	0
ცხელწყალმომარაგ.	0	0	0	0
კენტილატორი	0	0	0	0
ტუბო		0	1,1	1,1
განათება	4,4	4,4	4,4	3,6
სხვადასხვა	5,1	5,1	5,1	5,1
კონდიცირება	0	0		
<b>ჯამი</b>	<b>23,8*</b>	<b>23,8**</b>	<b>141,8***</b>	<b>127,2****</b>

ენერგო ბიუჯეტი – ენერგო აუდიტი				
ბიუჯეტის კომპონენტები	ეე ლონისძიებებ მდე გამოთვლილ ი [კვტსთ/ წელი]	ეე ლონისძიებებმდე გაზომილი [კვტსთ/ წელი]	ეე ლონისძიებებმდე საბაზო [კვტსთ/ წელი]	ეე და რეკონსტრუქციი ს შემდეგ
გათბობა	6266	6266	57850	51777
კენტილაცია	0	0	0	0
ცხელწყალმომარაგ.	0	0	0	0
კენტილატორი	0	0	466	466
ტუბო	1961	1961	1961	1608

განათება	2251	2251	2251	2251
სხვადასხვა	0	0	0	0
<b>კონდიცირება</b>	<b>10479*</b>	<b>10479**</b>	<b>62527***</b>	<b>56101****</b>

\* მოყვანილია კომპიუტერული მოდელიდან

\*\* გაზომილი ფაქტიური მოხმარება (ჩვენ შემთხვევაში ეს სვეტი იმურობს გამოთვლილი ენერგიის მოხმარების მონაცემებს, რადგანაც ელექტროენერგიის ქვითრების შოგნა ვერ მოხერხდა)


\*\*\* ნორმალიზებული საბაზო მნიშვნელი გაზზე გადახვდის შემდეგ

\*\*\*\* გაზზე გადახვდის შემდეგ ენერგოდაზოგის ღონისძიების გათვალისწინებით

შენობა ზამთარში თბება ელექტრომოწყობილობებით და შიდა ჰაერის ტემპერატურა არ შეესაბამება კომფორტულ პირობებს თრი მიზეზის გამო: პირველი – თბება არა მთელი პირველი სართული, სადაც ლაბორატორიაა განთავსებული, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი, მეორე – შენობის თბოტექნიკური მონაცემები იყო გათვლილი თბოზოლაციის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებული სახით მათ ნაკლებად შესწევთ უნარი დაიცვან სათავსოები დაბალი გარე ტემპერატურებისაგან სითბოს უწყვეტი მიწოდების გარეშე.

ენერგო ბიუჯეტის ცხრილში მოყვანილი დაბალი მაჩვენებლები ადასტურებს ადგილზე ჩატარებული ინსპექტირების შედეგად მოპოვებულ ამ ინფორმაციას, ინსპექტირების შედეგებს და პროექტის მასალებს (სვეტი “გაზომილი”). ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა შენობაში ენერგიის მოდელის კალიბრირება საკვანძო რიცხვების კომპიუტერული პროგრამის საფუძველზე (სვეტი “გამოთვლილი”).

სვეტში “საბაზო” მოყვანილია ენერგო მოხმარების ის მოცულობა, რომელიც საჭიროა დღევანდელ პირობებში შენობაში კომპორტული პირობების შესაქმნელად, ე.ი. ეს არის ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც იქნება საჭირო როდესაც გათბობის სისტემა ზამთარში იმუშავებს. უკანასკნელი სვეტი – “ენერგო ეფექტური ღონისძიებების და რეკონსტრუქციის შემდეგ” წარმოგვიდგენს ენერგიის მოხმარების შემცირებულ სიდიდეებს (ნახატი 1).



ნახატი 1. ENSI საკვანძო რიცხვების კომპიუტერული პროგრამით გამოთვლილი წლიური ენერგიის მოხმარება

## 7 ენერგოეფექტურობის პოტენციალი

აქ მოყვანილი სიდიდეები წარმოადგენს ეკონომიკური გამოთვლების კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ჩატარებული ეკონომიკური მოდელირების შედეგს. ენერგოაუდიტის შედეგად გამოვლინდა ენერგოეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვანი პოტენციალი ამ შენობისათვის:

მოწოდებული ენერგიის დანაზოგი  
წმინდა დანაზოგი  
დაბანდება  
ამოგების პერიოდი

**6429** კვსთ/წ  
**7614** ლარი/წ  
**22416** ლარი  
**2,9** წელი

ენერგიის დაზოგვის პოტენციალი ენერგოეფექტური და რეკონსტრუქციის ღონისძიებების დასადგენად შეჯამებულია შემდეგ ცხრილში მათი მომგებიანობის შესაბამისად (NPVQ).

ეე პოტენციალი-ენერგო აუდიტი					
სტუ მე-4 კორპუსში განლაგებული ელექტრომექანიკის №18 ლაბორატორია		გასათბობი ფართობი			
ეე ღონისძიებები		ინვესტიცია [ლარი]	წმინდა დანაზოგი [კვსთ/წ]	ამოგება [ლარი/წელი]	NPVQ *
1.	თანამედროვე გათბობის სისტემის დაყენება	21408	6073	7481	2,9 2,13
2.	განათების სისტემის რეკონსტრუქცია	1.008	353	133	7,6 0,18
მომგებიანი ეე ღონისძიებები					
1.	თანამედროვე გათბობის სისტემის დაყენება	21408	6073	7481	2,9 2,13
2.	განათების სისტემის რეკონსტრუქცია	1.008	353	133	7,6 0,18
სულ მომგებიანი ღონისძიებები		22416	6429	7614	2,9

- ევუძნება 7,3% რეალურ ხასროვებზე განაკვეთს

მიწოდებული ენერგიის წარმოდგენილი დანაზოგი დაყოფილია ენერგიის კონკრეტული წყაროს შესაბამისად.

ენერგომატარებელი	ერთეული	არსებული (საბაზო)	დონისძიებების შემდეგ	დანაზოგი
ელექტროენერგია	კვტ/წ	1961	1608	353
ადგილობრივი გათბობა	კვტ/წ	57850	51777	6073
ადგილობრივი გათბობისათვის საჭირო გაზი	მ³/წ	5600	5012	588

დღესდღეობით №18 ლაბორატორიის მიერ დაკავებულ ფართობზე არ არსებობს თანამედროვე გათბობის სისტემა, რომელიც იყენების ბუნებრივ აირს. მაგრამ მოსალოდნელია, რომ ის გამოიყენება გათბობისათვის მომავალ ში. ზემოდ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ბუნებრივი აირის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ლაბორატორიის გასათბობად არსებულ (საბაზო) პირობებში და ენერგოდამზოგავი დონისძიებების (ENCON) გატარების შემდეგ.

CO<sub>2</sub>-ს ემისიის შემცირება, რომელიც მოხდება ენერგოუდიტით გათვალისწინებული ყველა დონისძიების გატარების შედეგად, შეფასებულია როგორც 1,32 ტონა/წ.

## 8 ენერგოფექტური დონისძიებები

### 8.1 დონისძიებების ჩამონათვალი

მომდევნო თავებში შეფასებულია და დეტალურად აღწერილია შემდეგი ენერგოფექტური და რეკონსტრუქციის დონისძიებები. ინფორმაცია ყოველი მომგებიანი დონისძიებისათვის მოყვანილია ცალკე ცხრილის სახით.

მომგებიანი ენერგოფექტური დონისძიები მოყვანილია შემდეგ ცხრილში.

ენერგოფექტური და სარეკონსტრუქციო დონისძიებები
1. თანამედროვე გათბობის სისტემის დაყენება
2. განათების სისტემის რეკონსტრუქცია

### 8.2 დონისძიებები

ქვემოდ მოცემულია ყველა შეფასებული დონისძიებების აღწერა.

დონისძიება	1. – გათბობის სიტემის დამონტაჟება
კლიენტის №18 ლაბორატორიის მიერ დაკავებული ზართი	
დონისძიების შეფასება	

გადაწყდა გათბობის თანამედროვე სისტემის დაყენება იმასთან დაკავშირებით, რომ ზამთრის სათავსის შიდა ტემპერატურა ნაკლებია კომფორტულზე. ამ მიზნით დაპროექტებული იყო ორმილოვანი თანამედროვე გათბობის სისტემა. საქვაბის მშენებლობა დაპროექტებულია სტუ მე-4 კორპუსის ეზოში. საწვავად შემოთავაზებულია ბუნებრივი აირი. ბუნებრივი აირის მიმწოდებელი მიღი გადის ლაბორატორიის უშუალ სიახლოვეში. ამ დონისძიებით გათვალისწინებულია ყველა ხარჯები, რომელიც თან ახლავს გათბობის სიტემის მონტაჟს, მ.შ. ქვაბის გამწოვი მიღით, რადიატორების, მიღების, სარქელების, მანომეტრების, ფილტრებისა და პროექტით გათვალისწინებული სხვა მოწყობილობის. ENSI საკვანძო რიცხვების კომპიუტერული პროგრამით გამოთვლა გვიჩვენებს, რომ ქვაბის სიმძლავრე უნდა დაახლოებით 40 კვტ-ს შეადგენდეს.

**დანაზოგის გაანგარიშება (ENSI საკვანძო რიცხვების კომპიუტერული პროგრამით ან სხვა საშუალებით)**  
ინვესტიცია გათბობის სისტემის მონტაჟში სპეციფიკიის შესაბამისად გულისხმობა:  
რადიატორების, მიღების და ა.შ. დაყენების დირებულება სათავსის შიგნით – 5178,5 ლარი  
გაზის ქვაბის დაყენების დირებულება თანმხლები მიღებით, სარქელებით, მანომეტრით და ელსადენებით – 5331 ლარი  
დაახლოებით 17 მ<sup>2</sup> საქვაბის მშენებლობის დირებულება – 4753 ლარი  
საკვამლე მიღის დაყენების დირებულება 2495 ლარი  
შესაბამისად მთლიანი ინვესტიცია შეადგენს – 17757,5=17758 ლარი

ენერგიის რაოდენობა, რომელიც საკვანძო რიცხვების კომპიუტერული პროგრამით იყო გამოთვლილი როგორც საბაზო ამ შენობის გათბობისათვის კომპორტული შიდა ტემპერატურის მისაღწევად 57850 კვსთ/წ-ია. თუ ენერგიის ეს რაოდენობა ელექტროენერგიის ხარჯზე იქნება მიღებული, ფულად გამოსახულებაში ეს მოითხოვს - 57850 x 0,17697= 10237,7 ლარი/წ.

თანამედროვე გათბობის სისტემის დაყენების შემთხვევაში ენერგიის მოხმარება შემცირდება გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობის, ავტომატური კონტროლის, ექსპლუატაციისა და მომსახურების ხარჯზე და შეადგენს – 51777 კვსთ/წ.

ძირითადი დანაზოგი წარმოიქმნება ელექტროენერგიისდან ბუნებრივ აირზე გადასვლის ხარჯზე.

ბუნებრივი აირის ენერგომატარებლად გამოყენების შემთხვევაში ენერგიის გამოვლენილი რაოდენობა 51777 კვსთ/წ გაზის ექვივალენტში მოითხოვს - 51777/10,33=5012,3 ლ<sup>3</sup> ბუნებრივ აირს. ფულად გამოსახულებაში ეს მოითხოვს - 5012,3 x 0,51=2556,3 ლარს წელიწადში.

დანაზოგი ენერგომატერებლის შეცვლის შემთხვევაში შეადგენს - 10237,7 – 2556,3= 7681,4 ლარი/წ. ის წარმოიქმნება თანამედროვე გათბობის სისტემის დადგმის, ასევე შედარებით იაფი ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ფასთა სხვაობის ხარჯზე.

ამ გარიანტის შესაფასებლად ენერგოაუდიტის გუნდმა ჩაატარა ისეთი შენობის ანალიზი და მოდელირება, რომელიც ენერგომატარებლად მხოლოდ ელექტროენერგიას იყენებს.

#### ინვესტიცია:

პროექტირება/დაგეგმვა	250	ლარი
პროექტის მართვა	400	ლარი
გათბობის სისტემის	17758	ლარი

მონტაჟი კონტროლი და გამოცდა დოკუმენტაცია სხვა დანახარჯები	1800 ლარი 500 ლარი 200 ლარი 500 ლარი
სრული ინვესტიცია	21408 ლარი
ექსპლუატაციისა და მომსახურების ხარჯები, წელი (+/-)	200 ლარი/წ
წმინდა დანაზოგი	7481.4 ლარი/წ
ეკონომიკური ექსპლუატაციის ხანგრძლივობა	15 წელი

## დონისძიება .

## 2. - განათების სისტემის რეკონსტრუქცია

### არსებული სიტყაცია

დღესდღეობით ელექტრომექანიკის №18 ლაბორატორიის ელექტრომომარაგების სისტემა ცუდ მდგომარეობაშია, მიუხედავად იმისა, რომ აქ ფლუორესენტური სანათებია დაყენებული. არსებული განათების სისტემა შედგება 86 ფლუორესენტური მილისებრი სანათისაგან, რომელთაგანაც 34 გადამწვარია. იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შენობაში ცენტრალური გათბობა არ ფუნქციონირებდა, არაეფექტური გათბობის უზრუნველყოფა ხდებოდა ელექტროენერგიის ხარჯზე, რის შედეგად ელსადენები დაზიანებულია. ეს თავის მხრივ იწვევს სანათების ექსპლუატაციის ვადის ხელოვნურ შემცირებას და მწყობრიდან გამოსვლას. ამომრთველების და შტეფსელის როზეტების ნაწილი აგრეთვე მწყობრიდანაა გამოსული.

### დონისძიების აღწერა

ენერგოაუდიტის გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება ლაბორატორიის სათავსოს განათების სისტემის განახლების შესახებ. ცნობილია, რომ ყველა ფლუორესენტური სანათი დროთა განმავლობაში კარგავს სიკაშვაშეს. ვერ სანათებზე დაგროვებული ჭუჭყი, ცუდად მოვლილი დანადგარები აგრეთვე ამცირებს ნათების ეფექტურობას, ისევე როგორც დროსელის არასწორი ოპერაცია იწვევს სანათების დაბინძებას ცუდი გაყვანილობის გამო. განათების სისტემის განახლების მიზნით შეთავაზებულია ელგავვანილობის გამოცვლა, ასევე სისტემის მწყობრიდან გამოსული ნაწილის ჩანაცვლება.

**დანაზოგის გაანგარიშება (ENSI საკვანძო რიცხვების კომპიუტერული პროგრამით ან სხვა საშუალებით)**

განათების სისტემის განახლების შედეგად მიღებული ენერგიის დანაზოგი გათვლილი იყო კომპიუტერული პროგრამით. ის შეადგენს  $353 \text{ კვსთ/წ}$  ელექტროენერგიას. ფულად გამოსახულებაში ეს შეადგენს  $353 \times 0,17697 = 62,5$  ლარს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ცუდი ელსადენების გამო ყოველწლიურად საშუალოდ მწყობრიდან გამოდის 15 სანათი, მათი ღირებულებაც უნდა მიეთვალოს დანაზოგს იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სადენების გამოცვლა. შედეგად მთლიანი დანაზოგი შეადგენს -  $15 \times 62,5 = 153$  ლარს.

განათების სისტემის რეკონსტრუქციის ინვესტიცია შეადგენს –

შტეფსელის როზეტები – 150 ლარი

ამომრთველები – 50 ლარი

ფლუორესცენტური სანათები – 204 ლარი

34 დროსელი – 34 ლარი

ორმავთულიანი კაბელი -  $d=4 \text{ მმ} - 400 \text{ მ} \times 1 \text{ ლარი/მ} = 400 \text{ ლარი}$

ფიდერის დაფა – 100 ლარი

სულ – 938 ლარი

#### ინვესტიცია:

პროექტირება/დაგენერაცია	10	ლარი
პროექტის მართვა	10	ლარი
გათბობის სისტემის კომპონენტები	938	ლარი
მონტაჟი	20	ლარი
კონტროლი და გამოცდა	10	ლარი
დოკუმენტაცია	10	ლარი
სხვა დანახარჯები	10	ლარი

სრული ინვესტიცია	1008	ლარი
ექსპლუატაციისა და მომსახურების	20	ლარი/წ
წმინდა დანაზოგი	115	ლარი/წ
ეკონომიკური ექსპლუატაციის ხანგრძლივობა	15	წელი

## 9 ეკოლოგიური სარგებელი

მიწოდებული ენერგიის დანაზოგი და  $\text{CO}_2$ -ს ემისიის თანმხლები შემცირება  $441 \text{ მ}^2$  ფართობიდან, რომელიც უკავია ელექტრომექანიკის № 18 ლაბორატორიას შეადგენს:

ცენტრალური გათბობის მდგრადი	ენერგომატარებელი	თხევადი საწვავი	სხვა
კლიენტი	გათბობის ელექტრო	განაკვეთი	მატები
არსებული მდგომარეობა (კვტსთ/მ <sup>2</sup> წ) ეე და სარეკონსტრუქციისძიებების შემდეგ (კვტსთ/მ <sup>2</sup> წ)	-	4,4	131,2
დანაზოგი (კვტსთ/მ <sup>2</sup> წ)	-	0,8	13,8
დანაზოგი (კვტსთ/წ)	-	353	6073
CO <sub>2</sub> ემისიის კოეფიციენტი (კგ/კვტსთ)	-	<b>0,3999</b>	<b>0,194</b>
CO <sub>2</sub> ემისიის შემცირება (კგ/მ <sup>2</sup> წ)	-	0,32	2,68
CO <sub>2</sub> ემისიის შემცირება (გ/წ)	1,32		

მოსალოდნელია თანამედროვე გათბობის სისტემის დაყენება გაზის ქვაბით. სტრიქონში “არსებული მდგომარეობა” მოცემულია ენერგიის მოხმარება შენობის მ<sup>2</sup>-ზე ენერგოდაზოგვის ღონისძიებების (ENCON) გატარების გარეშე- მოსალოდნელი ბუნებრივი აირის დანაზოგი (მ<sup>3</sup>) მოცემულია შენობის 1 მ<sup>2</sup>-ზე გადაანგარიშებით. CO<sub>2</sub>-ს ემისიის შემცირება, რომლის მიღწევა ხდება ენერგოაუდიტის მეშვეობით განსაზღვრული ენერგოეფაქტური ღონისძიებების რეალიზაციის შედეგად შეფასებულია როგორც 1,32 გ/წ.

## გათბობის სისტემის ნახატი

№ 18 ელექტრომექანიკის ლაბორატორიის მიერ დაკავებული პირველი სართულის გეგმა ცენტრალური გათბობის სისტემის სქემით

